

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2021 წლის 12 ნოემბერი

ქ. ხონი

„ხონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლი მე-2 ნაწილის შესაბამისად ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს შევიდეს ცვლილება ხონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში თანდართული რედაქციით:

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვალერი ბახტაძე

დანართი

თავი I

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი			2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	11,508.4	7,433.1	4,075.3	13,450.9	7,184.0	6,267.0	13,533.0	6,815.2	6,717.8
გადასახადები	7,146.4	7,146.4	-	6,116.5	6,116.5	-	6,545.2	6,545.2	-
გრანტები	4,118.2	42.9	4,075.3	7,017.0	750.0	6,267.0	6,717.8	-	6,717.8
სხვა შემოსავლები	243.8	243.8	-	317.4	317.4	-	270.0	270.0	-
II. ხარჯები	7,037.1	6,718.7	318.4	6,757.5	6,536.9	220.5	7,494.1	7,244.2	249.9
შრომის ანაზღაურება	1,565.2	1,503.2	62.0	1,340.9	1,281.8	59.1	1,288.5	1,235.5	53.0
საქონელი და მომსახურება	914.6	797.4	117.2	974.0	909.1	64.8	1,323.5	1,233.6	89.9
პროცენტი	25.6	25.6	-	33.2	33.2	-	26.6	26.6	-
სუბსიდიები	3,652.0	3,562.4	89.6	3,579.5	3,486.0	93.6	3,932.7	3,825.7	107.0
გრანტები	5.8	5.8	-	7.9	7.9	-	7.0	7.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	644.4	641.4	3.0	717.1	714.1	3.0	803.6	803.6	-
სხვა ხარჯები	229.5	182.8	46.6	104.8	104.8	-	112.3	112.3	-



III. საოპერაციო სალდო	4,471.3	714.5	3,756.9	6,693.5	647.0	6,046.5	6,038.9	- 429.0	6,467.9
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,771.2	466.2	5,305.0	6,143.3	203.4	5,939.9	7,469.3	402.2	7,067.1
ზრდა	5,804.8	499.8	5,305.0	6,154.2	214.3	5,939.9	7,846.6	779.5	7,067.1
კლება	33.6	33.6		10.9	10.9		377.3	377.3	
V. მთლიანი სალდო	- 1,299.9	248.2	- 1,548.1	550.2	443.6	106.6	- 1,430.4	- 831.2	- 599.2
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1,325.6	222.5	- 1,548.1	498.8	392.3	106.6	- 1,481.7	- 882.5	- 599.2
ზრდა	- 1,548.1	-	- 1,548.1	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	- 1,548.1		- 1,548.1	-			-		
კლება	- 222.5	- 222.5	-	- 498.8	- 392.3	- 106.6	1,481.7	882.5	599.2
ვალუტა და დეპოზიტები	- 222.5	- 222.5		- 498.8	- 392.3	- 106.6	1,481.7	882.5	599.2
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 25.8	- 25.8	-	- 51.3	- 51.3	-	- 51.3	- 51.3	-
კლება	25.8	25.8	-	51.3	51.3	-	51.3	51.3	-
საშინაო	25.8	25.8	-	51.3	51.3	-	51.3	51.3	-
სესხები	-			51.3	51.3		51.3	51.3	
სხვა კრედიტორული დავალიანებები	25.8	25.8	-	-			-		
VIII. ბალანსი	0.0	- 0.0	-	0.0	0.0	-	- 0.0	- 0.0	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი			2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	11,542.0	7,466.7	4,075.3	13,461.8	7,194.8	6,267.0	13,910.3	7,192.5	6,717.8
შემოსავლები	11,508.4	7,433.1	4,075.3	13,450.9	7,184.0	6,267.0	13,533.0	6,815.2	6,717.8
არაფინანსური აქტივების კლება	33.6	33.6	-	10.9	10.9		377.3	377.3	-
გადასახდელები	12,867.6	7,244.3	5,623.4	12,963.0	6,802.6	6,160.4	15,392.0	8,075.0	7,317.0
ხარჯები	7,037.1	6,718.7	318.4	6,757.5	6,536.9	220.5	7,494.1	7,244.2	249.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,804.8	499.8	5,305.0	6,154.2	214.3	5,939.9	7,846.6	779.5	7,067.1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-			-			-		



ვალდებულებების კლება	25.8	25.8	-	51.3	51.3	-	51.3	51.3	-
ნაშთის ცვლილება	- 1,325.6	222.5	- 1,548.1	498.8	392.3	106.6	- 1,481.7	- 882.5	- 599.2

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 13 533.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი			2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	11,508.4	7,433.1	4,075.3	13,450.9	7,184.0	6,267.0	13,533.0	6,815.2	6,717.8
გადასახადები	7,146.4	7,146.4	-	6,116.5	6,116.5	-	6,545.2	6,545.2	-
გრანტები	4,118.2	42.9	4,075.3	7,017.0	750.0	6,267.0	6,717.8	-	6,717.8
სხვა შემოსავლები	243.8	243.8		317.4	317.4		270.0	270.0	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 6 545,2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი			2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	7,146.4	7,146.4	-	6,116.5	6,116.5	-	6,545.2	6,545.2	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-		-	-		-		
დამატებითი ღირებულების გადასახადი	6,868.4	6,868.4		5,838.5	5,838.5		6,225.2	6,225.2	
ქონების გადასახადი	278.0	278.0	-	278.0	278.0	-	320.0	320.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	197.7	197.7		170.2	170.2		293.0	293.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-			-	-		-	-	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.6	2.6		5.1	5.1		3.0	3.0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	60.3	60.3		80.6	80.6		20.0	20.0	



არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	17.5	17.5		22.1	22.1		4.0	4.0	
--	------	------	--	------	------	--	-----	-----	--

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 6 717.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
გრანტები	4,118.2	7,017.0	6,717.8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	-		
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	4,118.2	7,017.0	6,717.8
გათანაბრებითი /სპეციალური ტრანსფერი	42.9	750.0	-
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160.0	160.0	160.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად (სკოლები)	542.1	44.2	84.5
კაპიტალური ტრანსფერი	3,247.0	6062.8	6,473.3
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	126.2	-	-
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	126.2	-	
წლის დასაწყისისთვის გარდამავალი საბრუნავი სახსრები		-	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 270,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	243.8	317.4	270.0
შემოსავლები საკუთრებიდან	86.8	113.5	90.0
პროცენტები	32.8	33.6	30.0
დივიდენდები	-		-
რენტა	54.0	79.9	60.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	71.9	74.6	70.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	52.1	60.6	40.0



სანებართვო მოსაკრებელი	15.3	29.9	10.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	36.8	30.8	30.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	19.8	14.0	30.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	50.4	49.7	70.0
წლის დასაწყისისთვის გარდამავალი საბრუნავი სახსრები		-	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	34.7	79.6	40.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 7 494.1ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი			2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	7,037.1	6,718.7	318.4	6,757.5	6,536.9	220.5	7,494.1	7,244.2	249.9
შრომის ანაზღაურება	1,565.2	1,503.2	62.0	1,340.9	1,281.8	59.1	1,288.5	1,235.5	53.0
საქონელი და მომსახურება	914.6	797.4	117.2	974.0	909.1	64.8	1,323.5	1,233.6	89.9
პროცენტები	25.6	25.6	-	33.2	33.2	-	26.6	26.6	-
სუბსიდიები	3,652.0	3,562.4	89.6	3,579.5	3,486.0	93.6	3,932.7	3,825.7	107.0
გრანტები	5.8	5.8	-	7.9	7.9	-	7.0	7.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	644.4	641.4	3.0	717.1	714.1	3.0	803.6	803.6	-
სხვა ხარჯები	220.5	182.8	46.6	104.8	104.8	-	112.3	112.3	-

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ათას ლარში

არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	25.8	0.6	55.0
საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	25.8	0.6	55.0
ინფრასტრუქტურის განვითარება	5,164.9	5,254.8	7,146.4
საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4,230.1	4,789.6	5,877.2
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	476.4	461.7	522.7
გარე განათება	0.4	-	77.0



კეთილმოწყობის ღონისძიებები	196.2	3.5	654.7
საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	133.1	-	-
სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	128.6	-	14.8
წყლის სისტემების მოწყობა	-	-	-
	-	-	-
დასუფთავება და გარემოს დაცვა	1.1	30.2	37.0
დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სხვა კომუნალური მომსახურება	1.1	-	5.0
კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	-	30.2	32.0
განათლება	382.9	743.2	189.0
სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5.3	1.8	7.2
განათლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა და სხვა მიმდინარე ღონისძიებები	377.6	741.4	181.8
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	17.8	26.5	329.9
სპორტის სფეროს განვითარება	-	16.7	50.2
კულტურის სფეროს განვითარება	15.4	7.0	4.3
კულტურული და სახელოვნებო ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	2.5	2.8	275.4
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	209.1	93.5	17.5
ჯანმრთელობის დაცვა	209.1	93.5	17.5
სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	5,801.5	6,148.8	7,774.8
დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	33.6	10.9	377.3
ბირთადაი აქტივები	33.6	1.7	377.3
არაწარმოებული აქტივები	-	9.2	-
მიწა	-	9.2	-

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა



7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,193.2	2,061.4	2,437.4
7.1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,141.9	1,976.8	2,359.5
7.1.1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,141.8	1,976.8	2,211.5
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.1	-	148.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	51.3	84.6	77.9
7.2	თავდაცვა	90.4	80.7	90.0
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	90.4	80.7	90.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	4,841.6	5,255.0	7,045.6
7.4.5	ტრანსპორტი	4,230.1	4,793.3	5,885.2
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4,230.1	4,793.3	5,885.2
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	611.5	461.7	1,160.3
7.5	გარემოს დაცვა	723.0	647.1	744.8
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	594.3	616.9	698.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	128.6	-	14.8
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	591.8	407.3	593.4
7.6.1	ბინათმშენებლობა	242.8	3.5	17.1
7.6.3	წყალმომარაგება			-
7.6.4	გარე განათება	164.1	207.5	365.0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	184.9	196.3	211.3
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	301.3	235.9	154.5
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	301.3	235.9	154.5
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,280.6	1,189.7	1,616.1
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	271.8	280.8	336.2
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	825.7	726.0	1,089.9
7.8.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	33.0	33.0	33.0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	150.0	150.0	157.0
7.9	განათლება	1,925.5	2,125.0	1,807.7
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	1,597.0	1,788.3	1,461.7
7.9.2	ზოგადი განათლება	328.5	336.7	346.0
7.9.2.2	საბაზო ზოგადი განათლება	328.5	336.7	346.0
7.10	სოციალური დაცვა	911.2	985.1	902.3



7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	-	544.5	444.8
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	35.8	0.5
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	-	6.5	7.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	-	17.1	18.1
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	-	-	0.7
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	907.7	376.8	424.7
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	3.5	4.5	6.5
	სულ	12,858.6	12,987.2	15,391.7

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 1 430.4 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 6038.9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	4,471.3	6,693.5	6,038.9
მთლიანი სალდო	- 1,299.9	550.2	- 1,430.4

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1,325.6	498.8	-1,481.7
ზრდა	- 1,548.1	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	- 1,548.1	-	-
კლება	- 222.5	- 498.8	1,481.7
ვალუტა და დეპოზიტი	- 222.5	- 498.8	1,481.7

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 51.4 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხონის მუნიციპალიტეტის სასახო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 290.0 ათას ლარს.



თავი II

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7 442.4 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7,442.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,885.2
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	5,828.2
02 02	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	522.7
02 03	გარე განათება	365.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	365.0
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	654.7
02 04 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	637.6
02 04 02	შენობა ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია	17.1
02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	-
02 06	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	14.8

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01		5 885.2
პროგრამის განმახორციელებელი	ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ბოლო წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, განსაკუთრებით საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით. მუნიციპალიტეტის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სახელმწიფო ფონდებით დაფინანსებული ღონისძიებები. მიზანი: მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა . მიმდინარე წელს განხორციელდება სოფელ გუბში, სოფელ გოჩა ჯიხისში, სოფელ საწულუკიძეოში, სოფელ ნახახულევში, ქალაქში წერეთლის, გორგასლისა და თამარ მეფის ქუჩების სოფელ მათხოჯში მე-9 ქუჩის მოასფალტება (მეორე ეტაპი), სოფ გოჩა ჯიხისში გოგაგების უბანში შიდა სასოფლო გზების მოასფალტება, სოფელ გვაზაური-ღანირის დამაკავშირებელი გზის მოასფალტების დასრულება, სოფ პატარა კუხში მე-2 ქუჩის მოასფალტება, სოფ დედალაურში გზის მოასფალტების გაგრძელება, ხონი-წყალტუბოს მე-12 კმ-დან სოფ დედალაურის ცენტრამდე მისასვლელი გზის მოასფალტება, ქ. ხონში თაყაიშვილის ქუჩის პირველი შესახვევის მოასფალტება, ქ. ხონში დევნილთა დასახლება, კულტურის ცენტრის მიმდ. ტერიტორიისა და მე -2 ბაღის დამაკავშ. გზის მოასფალტება, ქ. ხონი, ჯაფარიძის ქუჩის რეაბილიტაცია. სოფელ მათხოჯში ფიოლიების უბანში გზის მოასფალტება, სოფელ ახალშენში ეკომიგრანტების დასახლებაში, ნამაშევის უბანი ასფალტის საფარის მოწყობის დასრულება, სოფელ ივანდიდში მე-2 და მე-13 ქუჩების მოასფალტება, სოფელ ხიდზე ცენტრალური გზიდან დიდდვანის ტბის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სახედამხედველო სამუშაოების შესყიდვა.		



მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		522.7
პროგრამის განმახორციელებელი	ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ის ინფრასტრუქტურული სამუშაოები , რომლებიც არჩეული იქნება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში. პროგრამის მიზანს წარმოადგენს სოფლებში მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული პროგრამების განხორციელება.		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		365,0
პროგრამის განმახორციელებელი	ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ხონში და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას (288.0 ათასი ლარი). ახალი ქსელის მოწყობა. (13.0 ათასი ლარი) 74,0 ათასი ლარი ამავე კალათის შესყიდვას.		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.		

სოციალური პროგრამები

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.



პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დაცვის პროგრამები	დაფინანსება ათას ლარში
	06 02		651.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხონის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახური		
	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც met wilad უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის სოციალური საჭიროების შესაბამისი სერვისების მიწოდება. ა) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად შეჭირვებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; ბ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, 18 წლამდე ასაკის ბავშვების მეურვეზე/მზრუნველზე/მხარდამჭერზე ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; გ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლის ასაკის ზემოთ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობის მქონე, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით დაავადებული პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; დ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს მიღწეული პირების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; ე) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; ვ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირების სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების/ თანადაფინანსების პროგრამა; ზ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/ თანადაფინანსების პროგრამა; თ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულ ბენეფიციარებზე (ტრანსპორტირებისათვის) ყოველთვიური ფულადი დახმარების პროგრამა; ი) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მწვავე ლეიკემიით დაავადებული პირების ყოველთვიური ფულადი დახმარების პროგრამა; კ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მშობელთა ზრუნველობამოკლებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვების მეურვეზე/მზრუნველზე ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; ლ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; მ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად დაინვალიდებული ვეტერანების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; ნ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა;		

პროგრამის აღწერა და მიზანი

ო) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და მასთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა.

პ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა;

ჟ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანების (უნგრეთი და ავღანეთი) ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა;

რ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული პირების ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა;

ს) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მხედველობით მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ყოველთვიური ფულადი დახმარება;

ტ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის შშმ პირების სასმენი აპარატის ნაწილების (სადენის, კვების წყაროს და საშრობი ტაბლეტის) დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამა;

უ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა;

ფ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ან/და ფაქტობრივად მცხოვრები) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა;

ქ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 15 წლამდე ასაკის ცერებრალური დამბლით დაავადებული შშმ პირების ერთჯერადი სეზონური საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურების პროგრამა (ბინის ქირით უზრუნველყოფა);

ღ) ხონის მუნიციპალიტეტში არსებული შეზღუდული შესაძლებლობის 18 წლამდე ასაკის ბავშვთა „დღის ცენტრების“ ყოველთვიური დაფინანსების პროგრამა;

ყ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 7 წლამდე აუტიზმის სპექტრის მქონე (F84.0; F84.1- ბავშვთა აუტიზმი, ატიპიური აუტიზმი) ბავშვების რეაბილიტაციის დაფინანსების/ თანადაფინანსების პროგრამა;

შ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანებისა და იძულებით გადაადგილებული პირების სარიტუალო მომსახურების პროგრამა;

ჩ) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანთა, მასთან გათანაბრებულ პირთა, მარჩენალდაკარგულთა, რეპრესირებულთა და ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ოჯახებზე საკანალიზაციო, წყალმომარაგების სააბონენტო ხარჯების ყოველთვიური თანადაფინანსების პროგრამა;

ც) ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ქალაქ ხონის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახებზე, რომელთაც მინიჭებული აქვს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს გადამოწმების შედეგად 65001 ქულაზე ნაკლები სარეიტინგო ქულა, წყალმომარაგების და კანალიზაციის ხარჯების ყოველთვიური თანადაფინანსების პროგრამა;

ძ) ქ.ხონში სამხედრო დასახლებაში დროებით, კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების წყალმომარაგების და კანალიზაციის ხარჯების ყოველთვიური თანადაფინანსების პროგრამა.

პროგრამის მიზანია სოციალური სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა.

მოსალოდნელი

არსებულთან შედარებით სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება- გაუმჯობესება



შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ვეტერანების მათთან გათანაბრებული პირებისა და მათი ოჯახების თანადგომა.
--------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03		250.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ხონის მაღლიერების სახლი ა(ა)იპ საქველმოქმედო ასოციაცია ხონის სათნოების სახლი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფასო კვებას დღეში ერთხელ. პროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ ხონის მაღლიერების სახლი, რომელიც ემსახურება დაახლოებით 130 ბენეფიციარს (2020 წლის დაფინანსება შეადგენს 110,0 ათასი ლარი) და ა(ა)იპ საქველმოქმედო ასოციაცია ხონის სათნოების სახლი დაახლოებით ბენეფიციართა რაოდენობა 140 კაცი (2020 წლის დაფინანსება შეადგენს 120,0 ათასი ლარი).		
მოსალოდნელი შედეგი	უკიდურესად შეჭირვებული მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 270 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა.		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 941.3 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	941.3
03 01	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სხვა კომუნალური მომსახურება	698.0
03 02	სასაფლაოების მოვლა პატრონობა	137.3
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	32.0
03 04	ადმინისტრაციული შენობების მოვლა დასუფთავება	74.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სხვა კომუნალური მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		698,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ხონის მუნიციპალიტეტის კომუნალური სერვის ცენტრი		

პროგრამის აღწერა და მიზანი	ხონის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან. . პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - ხონის მუნიციპალიტეტის კომუნალური სერვის ცენტრი ანხორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებასა და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: გორდი, კინჩხა, ხიდი, მათხოჯი, ნახახულევი, კონტუათი, გუბი, კუხი, ახალშენი, ნამაშევი, ივანდიდი, ქუტირი. შეგროვებული ნარჩენები გადის სამტრედიის ნაგავსაყრელზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 20 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 2 ნაგავმზიდი. ტურისტული სეზონთან დაკავშირებით იზრდება ნარჩენების რაოდენობა, დასუფთავების სამსახური უზრუნველყოფს დაგვა დასუფთავებასა და ყოველდღიურად დამატებით ნარჩენების გატანას. (უმეტეს შემთხვევებში ნაგავსაყრელებზე დამატებით გადის 13 მ/კუბ ნარჩენი). პროგრამიდან ასევე ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ახალი ნარგავების დარგვა. პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, გარე განათების ქსელის ტექნიკური მომსახურება (ნათურების შეძენა და შეცვლა) აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში სუფთა და ლამაზი გარემოს შექმნას. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ხონის მუნიციპალიტეტის კომუნალური სერვის ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს.
	მოსალოდნელი შედეგი
	დასუფთავებული და კეთილმოწყობილი გარემო.

პროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		137.3
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ხონის სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქის 128481კვ/მეტრის სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: პირველი უბნის ,მე-3 უბნის (მველი) ,მე-3 უბნის (ახალი) , ვ. ბახტაძის ქუჩაზე მდებარე, ქარჩხაბის მველი და ახალი ,მე-4 უბნის,ზ.კაკაბაძის ქუჩაზე მდებარე ქალაქის სასაფლაოები და სოფელ საწულუკიძის სასაფლაო 12126კვ/მეტრი. ამ სასაფლაოების მთლიანი ფართობი შეადგენს 140607 კვ/მ. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ხონის სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური უზრუნველყოფს: - სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება და შეღებვას; - სასაფლაოების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან; - სასაფლაოების გაცეღვით და შეწამვლით სამუშაოების შესრულებას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება - სასაფლაოებიდან ნარჩენების გატანა, აღდგომის დრესასწაულთან დაკავშირებით ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოებზე ქვიშის შეტანა, გამხმარი და დაზიანებული ხეების მოჭრა-დამუშავება. სასაფლაოების შემოღობვა.		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი სასაფლაოები		

პროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	დაფინანსება ათას ლარში
	03 03		32,0



პროგრამის განმახორციელებელი	ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 50 ერთეული ნაგვის ურნის შესყიდვა.
მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული გარემო.

პროგრამის დასახელება	კოდი	ადმინისტრაციული შენობების მოვლა-დასუფთავება	დაფინანსება ათას ლარში
	03 04		74,0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს აფხაზეთი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების მოვლა-დასუფთავება, ელექტრო სისტემებისა და სანტექნიკის შესაკეთებელი სამუშაოების განხორციელება.		
მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული ადმინისტრაციული შენობები		
	კომუნალური და ელექტრო სისტემების გამართული ფუნქციონირება		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,807.7 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
04 00	განათლება	1,807.7
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1,190.0
04 02	განათლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა და სხვა მიმდინარე ღონისძიებები	271.7
04 03	სკოლისგარეშე განათლება	346.0
04 03 01	მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	168.0
04 03 02	კომპიუტერისა და ინგლისური ენის შესწავლის ხელშეწყობა	60.0
04 03 03	ტექნიკური შემოქმედებითი განათლების ხელშეწყობა	118.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		1190.1
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება		



პროგრამის აღწერა და მიზანი	ხონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება და მასში შემავალი ფილიალები წარმოადგენენ სასწავლო – სააღმზრდელო დაწესებულებებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონით, რომლის მთავარი დანიშნულებაა საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას
	ხონის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 20 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 850-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 261 პერსონალი, აქედან 84 აღმზრდელი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“
	პროგრამის მიზანია: ბავშვის სკოლისათვის მომზადება და მათთვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფა.
	ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
	ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;
	ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;
მოსალოდნელი შედეგი	ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.
მოსალოდნელი შედეგი	ხონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში მომსახურებით წლის გამავლობაში უფასოდ ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 850-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი.

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა და სხვა მიმდინარე ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02		271.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია. სკოლებში მოსწავლეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მოწყობილი ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლისგარეშე განათლება	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		346.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპხონის მუნიციპალიტეტის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი, ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი.		



	პროგრამა მოიცავს: მრავალპროფილიან საგანმანათლებლო-სააღმწერდლო დაწესებულებებს, რომლებიც თავისი სტრუქტურით მრავალი მიმართულებით ემსახურება 6 წლიდან ბავშვებს, მოზარდებსა და ახალგაზრდებს. დაწესებულებებში სასწავლო- აღმზრდელობითი სამუშაოების ძირითად ფორმას წარმოადგენს საწრეო, სტუდიური და საკლუბო სამუშაოები სადაც ძირითადად ხორციელდება არაფორმალური განათლების მიღება, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ, ბუნებრივ გარემოში, სადაც ბავშვებს უქმნიან მოტივაციას, იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს: ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი, რომლის ბაზაზე ფუნქციონირებს სამუსიკო, ვოკალური და ქორეოგრაფიული სტუდიები, 8 წრე და 3 კლუბი, მათ შორის: ქართული ხალხური სიმღერებისა და საკრავთა, მხატვრული კითხვისა და ლიტერატურული დაოსტატების, ქართული ენის გრამატიკისა და ლიტერატურის, სამართალმცოდნეობის, გიტარის შემსწავლელი და მხატვრული ტანვარჯიშის წრეები. ფოტო-კინო ხელოვნების, შემეცნებითი და ინტელექტუალური თამაშების, მხარდმცოდნეობისა და ტურიზმის კლუბები. თოჯინებისა და ლიტერატურული თეატრები. ცენტრი წლის განმავლობაში ემსახურება 500 ზე მეტ ბენეფიციარს. 2021 წლის ბიუჯეტით ცენტრს გამოეყოფა 168,0 ათასი ლარი. ა(ა)იპხონის მუნიციპალიტეტის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი აერთიანებს 2 წრის მიმართულებას, მოსწავლე ახალგაზრდობაში ინგლისური ენისა და კომპიუტერის შესწავლა. სწავლება მიმდინარეობს უფასოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე. დაკომპლექტებულია ძირითადად სოციალურად დაუცველი ბავშვებით. თითოეულ ჯგუფში ირიცხება 6-8 მოსწავლე. სასწავლო კურსის ხანგრძლივობაა კომპიუტერის შემსწავლელ კურსის 3 თვე, ინგლისურის კურსის 1 წელი. გაკვეთილის ხანგრძლივობა ერთი საათი. ჯგუფები კომპლექტდება ტესტირების საფუძველზე. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ საგამოცდო კომისიის მიერ ტარდება გამოცდა და მოსწავლეებს გადაეცემა სერთიფიკატი. ჩარიცხული მოსწავლეთა რაოდენობა სასწავლო წლისთვის დაახლოებით შეადგენს 75 მოსწავლეს. პროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში კომპიუტერული უნარ-ჩვევების და ინგლისური ენის შესწავლას, მეტი მოზარდის ჩართვას კომპიუტერული უნარ-ჩვევების და ინგლისური ენის გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. 2021 წლის ბიუჯეტით ინფორმატიკის სასწავლო ცენტრს გამოეყოფა 60,0 ათასი ლარი. ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლიც ასევე წარმოადგენს სკოლისგარეშე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც გაერთიანებულია შემდეგი წრეები: ტექნიკური მოდელირების, ახალგაზრდა გამომგონებლების, ქიმი-ლაბორატორიის, ნორჩ ეკოლოგთა, ქიმიური მეწარმეობის საფუძვლების, ფიზიკის, მათემატიკის, ზოგადი უნარების, ინფორმატიკისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კომპიუტერული მოდელირების, თანამედროვე ტექნოლოგიების, მაკეტირება და ხაზვის, გამოყენებითი ხელოვნების, დიზაინის, ქსოვის, დაწყებითი ტექნიკური მოდელირების, რელიგია და კულტურის, ფოლკლორის, მხატვრული კითხვის, ინგლისური ენის, ლიტერატურული სალონის, რადიოტექნოლოგია და ვიდეოკომუნიკაციის, დებატ კლუბის"თაობათა ცვლა"-ს, აქტიური მოქალაქეების კლუბის, ვაჟთა ვოკალური ჯგუფის, ფოტომოყვარულთა ჯგუფის. ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობას განუვითაროს ინტერესი საწარმოო საქმიანობის და გამომგონებლობისადმი, ჩამოუყალიბოს ტექნიკურ-შემოქმედებითი აზროვნება, განუმტკიცოს საჯარო სკოლაში მიღებული ცოდნა და დახმარება გაუწიოს საშუალო საფეხურის მოსწავლეებს დამატებითი საბაზისო ცოდნის მიღებაში, გამოუმუშაოს მაღალი ესთეტიკური კულტურა, ხელი შეუწყოს მათ მოსწავლეების პროფესიულ ორიენტაციას, ასევე დიდი ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდა გამომგონებელთა ჯგუფის წარმატებულ საქმიანობას. 2021 წლის ბიუჯეტით ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლს გამოეყოფა 118,0 ათასი ლარი.
მოსალოდნელი შედეგი	სკოლისგარეშე, არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლე- ახალგაზრდობისათვის მოტივაციის ამაღლება, ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა და წახალისება, საგნებისადმი ინტერესის გაღვივება, ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო წრეებით სარგებლობისათვის,

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1616.1 ათასი ლარით. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
-----------------	-----------------------------------	-----------------



05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,616.1
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	336.2
05 01 02	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	269.0
05 01 04	სპორტული ღონისძიებები	17.0
05 02	კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარება	662.0
05 02 01	სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა	60.0
05 02 02	მუზეუმის ხელშეწყობის პროგრამა	70.0
05 02 03	ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა	122.0
05 02 04	სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა	230.0
05 02 05	თეატრის განვითარების ხელშეწყობა	180.0
05 03	საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერა	33.0
05 04	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	8.0
05 05	კულტურის ღონისძიებები	144.5
05 06	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	157.0
05 07	კულტურული და სახელოვნებო ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	275.4

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		269,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა აერთიანებს 10 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (70 ბავშვი); თვისუფალი ჭიდაობა (78 ბავშვი); რაგბი (18 ბავშვი) კალათბურთი (45 ბავშვი) კიო-კუშინ კარატე (10 ბავშვი) კარატე (40 ბავშვი) კრივი (12 ბავშვი) მძლეოსნობა (45 ბავშვი), ჭადრაკი (12 ბავშვი); ძალოსნობა (15 ბავშვი) გოგონათა ფეხბურთი (14 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სხვადასხვა სახეობებს ეუფლება 362 ბავშვი, სასპორტო სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში. ქვეპროგრამის მიზანია: -ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; -მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.		
მოსალოდნელი შედეგი	კომპლექსური სასპორტო სკოლის მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად ფუნქციონირება, ყველა მსურველის დაკმაყოფილება სკოლის მომსახურებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის სპორტული წრეებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 04		17,0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	კულტურის, განათლების სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით ხორციელდება ისეთი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, როგორცაა სასკოლო სპორტული ოლიმპიადი, სპორტი ბარიერების გარეშე, საფეხბურთო ჩემპიონატები, როგორც გოგონებს, ასევე ვაჟებს შორის, გამოჩენილი სპორტსმენების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირები კალათბურთსა და ფეხბურთში, ქალთა დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები, მუნიციპალური პირველობა წარდასა და შაშში, სასკოლო ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, წარმატებულ სპორტსმენების, წარმატებული მწვრთნელების და ღვაწლმოსილი სპორტსმენების დაჯილდოება, საერთაშორისო ტურნირებზე ხონელი სპორტსმენების დაფინანსება, ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატი დრიფტში MBW საავტომობილო ფედერაციის მიერ და სხვა. ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სპორტული ტრადიციების დაცვა, გადრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება, გამარჯვებულთა გამოვლენა და წახალისება.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფულადი და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებული ახალგაზრდა, წარმატებული და ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენები.

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		662,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ხონის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ ხონის მთავარი ბიბლიოთეკა, ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ ხონის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ ხონის ისტორიული მუზეუმი		
